№ 174 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. სამშაბათი, 5 აგვისტო 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან.
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან.
სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ.
საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება-
ანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედა-
ქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოფიციალური განყოფილება

შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს. (მ ა ნ ე თ ი.)	წლიური ჯამაგირი თვითეულს. (მ ა ნ ე თ ი.)	წლიური ჯამაგირი ყველას. (მ ა ნ ე თ ი.)
	გ) სარდაფი.				
1	მეღვინე	1	1750	21000	21000
2	სარდაფის მუშა I კატეგორიისა	1	1100	13200	13200
3	სარდაფის მუშა II კატეგორიისა	6	1000	12000	72000
	სულ	8	—	—	106200
	დ) მემინდვრეობა და მებოსტნეობა.				
1	ნოქარი	1	1500	18000	18000
2	მეველე	3	1000	12000	36000
	სულ	4	—	—	54000
	ე) ბაღი და ტყე.				
1	ბაღის გამგე	1	1500	18000	18000
2	ტყის ზედამხედველი	1	1500	18000	18000
3	მებაღე	1	1100	13200	13200
4	ბაღის მუშა	3	1000	12000	36000
5	ტყისმცველი	7	1000	12000	84000
	სულ	13	—	—	169200
	ვ) სახელოსნოები და ტეხნიკური ნაწილი				
1	ტეხნიკური ნაწილის გამგე	1	2000	24000	24000
2	შენობის შემკეთებელი ხელოსანი	1	1500	18000	18000
3	მექანიკი-მემანქანე	1	1500	18000	18000
4	მემანქანის თანაშემწე	1	1100	16800	16800
5	დურგალი	1	1400	16800	16800
6	მჭედელი	1	1400	16800	16800
7	მეყისქვილე	1	1300	15600	15600
8	მელუმელე	1	1250	15000	15000
9	მეჩაქჩე (კვერის დამკვრელი)	1	1250	15000	15000
10	მეკასრე (ბონდარი)	1	1400	16800	16800
	სულ	10	—	—	172800
	სულ მამულს	98	—	—	1386000
	ზ) „მანავი"-ს სახელმწიფო მამული.				
1	მოურავი	1	2700	32400	32400
2	მოანგარიშე	1	1800	21600	21600
3	მევენახე	1	1500	18000	18000
4	მუშა მხვნელი-მთესველი	4	1200	14400	57600
5	მეურმე-მეფურგუნე	2	1100	13200	26400
6	ვენახის მუშა	2	1100	13200	26400
7	დარაჯი	1	1000	12000	12000
8	მწყემსი	1	1000	12000	12000
	სულ	13	—	—	206400
	სულ მამულს	13	—	—	206400
	„ვაჩნაძე"-ს სახელმწიფო მამული.				
1	მოურავი	1	2700	32400	32400
2	მოანგარიშე საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
3	ვენახის მუშა I კატეგორიისა	1	1250	15000	15000
4	მეჯინიბე მხვნელი-მთესველი	3	1100	13200	39600
5	მეურმე მხვნელი-მთესველი	4	1100	13200	52800
6	ვენახის მუშა II კატეგორიისა	5	1050	12600	63000
7	დარაჯი	1	1000	12000	12000
	სულ	16	—	—	238800
	სულ მამულს	16	—	—	238800

1920 წ. ივნისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **აკ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

30 ივნისი, 1920 წ., № 234.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან სამსახურში გამოუცხადებლობისა გამო ქუთაისის საპყრობილის უფროსი გიორგი ზაალის ძე ყიფიანი ამა წლის ივლისის 1-დან.

30 ივლისი, 1920 წ., № 286.

დანიშნენ: პოლკოვნიკი დავით ჭიჭინაძე ტფილისის საპყრობილეთა მცველი ათასეულის უფროსად ამა წლის მაისის 7-დან და გრიგოლ რეკვავა იმავე ათასეულის ექიმად ივნისის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

24 ივლისი, 1920 წ. № 285.

შვებულება მიეცეს ტფილისის ცენტრალურ საპყრობილეთა უფროს ექიმს ვლადიმერ ილიას ძე ციციშვილს ორი თვის ვადით ამა წლის ივლისის 20-დან ავადმყოფობით შელახულ ჯანმრთელობის აღსადგენათ.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟორდანია.**

—

დეპარტამენტის დირექტორისა.

30 ივლისი, 1920 წ. № 289.

წარიგზავნოს საპყრობილეთა ინსპექციის განკარგულებაში მიხეილ ფედოტის ძე ლუკინი ამა წლის ივლისის 30-დან.

31 ივლისი, 1920 წ., № 291.

წარმოგზავნილია იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში ექიმი ვასილ ივანეს ძე ბერეჟიანი ამა წლის ივლისის 31-დან.

31 ივლისი, 1920 წ., № 292.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა სამინისტროს კანცელიარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე მარიამ გრიგოლ გაბაშვილის ასული ამა წლის აგვისტოს პირველიდან.

დეპარტამენტის დირექტორი

გ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება

მომარაგების სამინისტროში

ცეცხლი აბრეშუმის პარკის საშრობში.

ხონის აბრეშუმის პარკის დამამზადებელ მთავარ რწმუნებულისაგან მომარაგების სამინისტროში ტელეგრაფით ცნობა მიიღეს ხონში ბალანჩივაძის აბრეშუმის პარკის საშრობში ცეცხლის გაჩენის შესახებ. საშრობი იჯარით ჰქონდა აღებული კოოპერატივსა და საკრედიტო ამხანაგობას. დაიწვა 1,619 ფ. პარკი ამ ორგანიზაციების მიერ ნაყიდი. კერძო პირების ზარალი დიდია.

სურსათის შესყიდვა საზღვარ-გარეთ.

ამ მოკლე ხანში საზღვარ-გარეთ მიემგზავრება მომარაგების მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭანიძე. მას სურს საქართველოსთვის სურსათის შესყიდვა. მომარაგების სამინისტროს ცნობით მომავალ წლის მოსავალი, უეჭველია, მცხოვრებლების მოთხოვნილებას დაფარავს. პურის გაიაფება საეჭვოა, რადგანაც გლეხები პურს აღებენ ფასს მათთვის საჭირო საგნების ფასებთან შეფარდებით. ამ საგნების გაიაფების მიზნით მომარაგების სამინისტრომ გადასწყვიტა მათი შეძენა: შესყიდვის ორგანიზაციისათვის საზღვარ-გარეთ მიემგზავრება ი. ჭავჭანიძე. შესყიდვისათვის საჭირო ვალიუტას მომარაგების სამინისტროს გადასცემს შავი-ქვის ამხანაგობის კომიტეტი „ჩემო" იმ თანხიდან, რომელიც მისგან მომარაგების სამინისტროს ერგება. მომარაგების სამინისტროს წინადადებით საზღვარ-გარეთ პირველად ყოვლისა შემდეგი საქონელი და სურსათი უნდა შეისყიდონ: შაქარი, გლეხებისთვის საჭირო მანუფაქტურა, უმთავრესად კი ნარმა. ასანთი, ლურსმანი, თოკი, კედი, ფანჯრის შუშები, რაგოჟა (თამბაქოს შესახვევად) სარეცხის საპონი, ძაფი, ქაღალდი, სხვა და სხვა საკანცელარიო საგნები, სატელეგრაფო ლენტები და მრავალი სხვა. ჭავჭანიძე ტფილისიდან აგვისტოს 10—12 გაემგზავრება.

შეშის მომარაგება.

ბორჩალოს საერობო სამმართველომ ერობის კავშირის კომიტეტს აცნობა, რომ მას სურს ფართოთ მოაწყოს შეშის მომარაგების საქმე. ამისათვის იგი ითხოვს მას სესხად მისცენ $2^1/_2$ მილ. მან. ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა.

დამფუძნებელ კრებაში

(დასასრული).

ნ. ხომერიკის სიტყვა (გაგრძელება).

კანტრალიორმა მოახდინა რევიზია ბორჯომის მამულის, ამის შესახებ ცნობა მოგვივიდა 16 ოქტომბერს. ოთხი დღის შემდეგ წავედით მე და ჩემი ამხანაგი ადგილობრივათ და გამოვიძიეთ საქმე და 28 ოქტომბერს ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები კანტრალიორს შევატყობინეთ. იყო შემთხვევა ასეთი 4 მაის კანტროლიდან მოგვივიდა მოწერილობა, 6 მაის გაგეცით პასუხი, 7 ივნის მოგვივიდა მეორე მოწერილობა, სადაც გვეუბნებოდნენ პასუხი რატომ არ გამოგზავნეთო როდესაც მოვთხოვეთ მოენახათ ქაღალდები იქ ჩვენი პასუხი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არამც თუ პასუხს არ ვაძლევთ კანტროლს, იგი ხშირად უსამართლოდაც გვეპყრობა. აქ იძახიან ბორჯომის ქონება გაიფლანგაო? რაში გამოიხატა ეს კანტროლიორმა მოახდინა რევიზია ბორჯომის მამულების 1917—1918 წ. რა პირობები იყო მაშინ ეს ყველამ იცის კარგად. ანარქია და ამას ზედ დაერთოს ომი, ბორჯომიდან ექვსი ვერსის დაშორებით ბრძოლა სწარმოებდა და ასეთ პირობებში რომ ვისმე ფარდა ან რაიმე სხვა ნივთი წაეღო ეს ადვილათ ასახსნელია. მე არასოდეს არ მივცემ თავს ნებას, რომ ვთქვა ჩემს უწყებაში ყველა სინდისიერათ ასრულებს მოვალეობას მაგრამ თქვენ იმას ვერ დაამტკიცებთ, რომ ჩვენ ბოროტ მომქმედთ ხელს ვაფარებდეთ. აქ ლაპარაკობდენ ურუშაძეზე, რა ჩაიდინა იმან, სულ ორი კვირაა რაც წავიდა კომისიასთან ერთად კლიმატიურ სადგურის მისაღებად. ჯერ დანიშნულებისამებრ არც კი ჩასულა და თქვენ მასზე ლაპარაკობთ. თუ თქვენ ეძებთ და ყველგან ბოროტ-მოქმედი გეჩვენებათ ახლოს უნდა მანახოთ ჩვენში ვერ იპოვნით. ბორჯომის მამულის შესახებ კანტროლის მოსაზრებები ზოგიერთი მისაღები იყო. ჩვენ მის შესახებ პასუხიც გავეცით იყო. მაგალითად ზოგიერთი ისეთი მოსაზრებანი კანტრალიორის რაც მისაღები არ იყო. ჩვენ მაგალითად საგანგებო რაზმი გვყავდა ბორჯომის ტყეების დასაცავათ. ეს კანტრალიორს არ მიაჩნდა მიზან შეწონილათ. მაგრამ თუ მივიღებდით მხედველობაში იმას, რამ იყო ისეთი მომენტი, როდესაც გარშემო მდებარე სოფლები ხშირად იჭრებოდენ და ანადგურებდენ ტყეს, მაშინ ადვილათ მისახვედრია, თუ რათ გვყავნდა რაზმი. შემდეგ იმასა მინისტრი ეხება ბორჯომის წყლის გაცემის საკითხს დამტკიცებს რომ მთავრობას მეტად ხესაყრელ პირობებში აქვს გაცემული იგი. რაც შეეხება კედიას შეკითხვას, რომ რით აიხსნება ბოთლი წყალი მთავრობას უჯდება 4 მან. და 15 კაპ. ამავე დროს ყიდდა 9 მანეთათ ეს არ არის მართალი რაც შეგიძლიან დაინახოთ ანგარიშებიდან. მთავრობა 3 მანეთად ყიდდა ძველ ჩამოსხმულ წყალს და ზარალით რომ ეყიდნა მოგებას ველარ ნახავდა იმ დროს კი საგრძნობი მოგება დარჩა. 1919 წელს უწყებამ 830 ათასი მანეთი მოიგო ბორჯომის წყალში. შემდეგ ამისა მინისტრი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ კრედიტები გაღებულ იყო ჩვენ ეს ისე კი არ გვესმოდა, რომ უეჭველათ მიღებული კრედიტი უნდა დახარჯულიყო. სამინისტრომ ერთი წლის განმავლობაში 66 მილ. ეკონომია გააკეთა. მინისტრი ციფრებით ხელში ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მამულები მოგებას იძლევიან, რაც 100% მეტს აღწევს. ისეთ პირობებშიაც კი როდესაც ძნელია სამეურნეო იარაღების შოვნა, წამლის მიღება მაშინაც კი დიდ შედეგებს ვახწევთ შეიძლება უწყებაში ჰქონდეს რაიმე ადგილი უწესოებას, მაგრამ იმას ვერავინ ვერ იტყვის, რომ ბოროტ-მოქმედებას აფარებდეს ვინმე ხელს. რა ერთი და ორი მოხელე იქნა გადაყენებული და პასუხის გებაში მიცემული. ცენერების დეპუტატები ხშირათ სხვა და სხ. რეპ-

ლიკებით აწყვეტინებენ სიტყვას, ვაისმის ხმა: ბოროტ-მოქმედებით არის სავსე თქვენი დაწესებულებები და სხვა) მინისტრი აღნიშნავს, რომ უკვირს მას რატომ აძელევენ ოპოზიციის ორატორებს. თავიანთ თავს ნებას ისეთი სიტყვების წარმოსთქვან, რომლის დამტკიცებაც არ ძალუძთ. რა მოსდის ამ ხალხს. რატომ აქვთ ასეთი ცუდი წარმოდგენა ჩვენზე? თქვენ ხომ არ იცით ბატონო ესერებო ისეთი პირი, რომელსაც მთავრობის წევრობა გამოეყენებინოს თავის პარტიის სასარგებლოდ.

ივ. გობეჩია ხმაურობს და არ აძლევს საშუალებას ორატორს განაგრძოს სიტყვა. ესერების სკამებიდან მოისმის ხმა „ქურდებო თქვენ ხართ". ამ სიტყვების შემდეგ დეპუტატი ვლ. მგელაძე მიუბრუნდა ესერებს და უძახის: ვის უ ედავთ თქვენ ასეთ სიტყვებს? როგორ ბედავთ ჯიბლაძეს შეეხოთ? თავხედებო. (დიდი ხმაურობაა) ნაცრ.-ლ დემოკრ. დეპუტატები ვლასა მ ელაძეს ამშვიდებენ. მგელაძე ჯდება.

თავმჯდომარე. მოგიწოდებთ წესიერებისაკენ, (ვლ. მგელაძე წამოიჭრება ადგილიდან) ვის უბედავენ აქ შეურაცხყოფას? ჩვენ არ მივცემთ არავის ნებას ასე შეურაცხყოფ ჩვენი მასწავლებლები და იმავე დროს დამცირონ ეს უმაღლესი დაწესებულება. (ესერების სკამზე ხმაურობაა) ბ-ნო გობეჩია და მგელაძე მოგიწოდებთ წესიერებისაკენ.

ლ. გ ელაძე. მე კმაყოფილი ვარ, ბოდიშს ვიხდი თავმჯდომარის წინაშე.

ხომერიკი. განაგრძობს: რომ აქ ესერები უსაბუთო ბრალდებებს ისვრიან და მე ვეკითხები მათ რომ არ იცნობენ იმ პოლიტიკურ პარტიის წევრებს, რომელსაც სახაზინო ქონება გამოეყენებინოს პარტიის სასარგებლოდ. (ხმები: დაასახელეთ. თავმჯდომარე მოუწოდებს დაასახელოს ვის შესახებ ამბობს რათა გაუგებრობა არ დაბადოს) მე ბოდიშს ვიხდი ლორთქიფანიძის წინაშე, რომელიც ჩემის რწმენით მსხვერპლი გახდა თავის ამხანაგების ვერაგულ მოქმედების. სოც.-რევოლიუციონერთა პარტიამ დაავალა ლორთქიფანიძეს, რომ მას სახელმწიფო ნავთი, რომელიც შემოტანილი იყო უბაჟოდ გადაეცა პარტიისათვის საარჩევნო ფონდის შესაქმნელად. როცა ეს ფაქტი გამომეღავნდა ლორთქიფანიძეს არ დაუმალავს და განაცხადა ეს ჩავიდინე სოც.-რევ. ცენ. კომიტეტის დავალებითო. გობეჩია და შენგელაიამ კი განუცხადეს მთავრობას, რომ ცენტრალურ კომიტეტს არაფერი მაგის მსგავსი არ (მიუნდვია ლორთქიფანიძესათვის. მათ როგორც „რაინდებმა" მ ატოვეს თავისი ამხანაგი (ხმა ადგილიდან: ტყუილია). თუ მართლა ლორთქიფანიძემ ტყუილი სთქვა, რად არის მაშინ თქვენ პარტიაში და რად არის დეპუტატად. (შენგელაია ადგილიდან: პრობკები მოიპარეთ და გაყიდეთ). საშინელი ხმაურობდა, აღელვება სოც.-დემოკრ. სკამებიდან. უკან წაიღეთ თქვენი სიტყვები.

თავმჯდომარე. მე ვერ გავიგე ბ. შენგელაიას სიტყვები. დამფუძნებელ კრების წევრო შენგელაიავ, გთხოვთ განიმეოროთ თქვენი სიტყვები. შენგელაია წამოდგება და ამბობს: მე ვსთქვი: პრობკები გაყიდეს და ამით ხაზინა აზარალესო. (ხმები: შეშინდა, გადასთქვა არ ჰქონია გამბედაობა. მინისტრი განაგრძობს). როდესაც ასეთი ლაპარაკი მესმის ოპოზიციიდან, ვეკვ რდები და ამას ვხსნით მით, რომ ისინი თავიანთ არშინით ზომავენ ყველაფერს, მაგრამ ინებონ და თავიანთ არშინით ზომონ თავიანთი საქმენი, ვინაიდან მთავრობაში არ მოიძებნება ისეთი პირი, რომელიც ბოროტმოქმედების ჩამ დენი იყოს. (ტაში)

ასათიანი (ნ.-დ.). აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას შეიძლება უწოდოთ სახელმწიფო ბიუჯეტი. ეს არის აწერა სახელმწიფოს მიერ გაწერილ ხარჯების და კამათიც ამის ფარგლებში უნდა გვეწარმოებინა. ჩვენი ქვეყნის მძიმე ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა ბიუჯეტის დეფიციტში კი არ მ დგომარეობს, არამედ სახალხო და სახელმწიფო მეურნეობაზე არის დამოკიდებული. ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, თუ რადიკალურად იქნება შეცვლილი ეკონომიური პოლიტიკა და მივიღებთ სახელმძღვანელოდ იმ ეკონომიურ სისტემას, რომლითაც აუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას ევროპის ქვეყნები.

სიგვიანის გამო თავმჯდომარე აწყვეტინებს სიტყვას, რომლის გაგრძელებაც მიეცემა შემდეგ სხდომაზე. პირად საკითხის გამო განცხადებისათვის სიტყვა ეძლევა ივ. გობეჩიას, რომელიც აცხადებს, რომ თუ მართლა ვინმემ ჩაიდინა ცენტრალურ კომიტეტის სახელით ბოროტმოქმედება, თქვენი მოვალეობა იყო სამართალში მიგეცათო. ამის გამო სამართალში მიცემული იყო ლორთქიფანიძის მდივანი, რომელიც გამართლებულ იქნა.

ი. ლორთქიფანიძე. ცენტრალურ მომარტედან ნავთის შესახებ არავითარი დავალება არ მიმიღია. გამოძიება სწარმოებდა და სასამართლომ გაამართლა ჩემი პირადი მდივანი. მე მოვითხოვ, თუ რამე ბოროტმოქმედება ჩავიდინე მიმცეთ სამართალში.

ნ. რამ შვილი. აცხადებს, რომ ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ ჩვენ ბოროტმოქმედებას ვაფარებდეთ ხელს ამას სხვათა შორის აშკარად ჰყოფს ის ფაქტი, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად გაარჩია სასამართლომ მაღლაკელიძის და სხვათა საქმე. ნათესავებს ჩვენ ადგილზე არ ვნიშნავთ, ამას ვერავინ ვერ იტყვის. მე მგონია ლორთქიფანიძე იმდენად სცემდა თავის თავს პატივს, რომ ფაქტების დამახინჯებას არ იკადრებდა. მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო იმ ფაქტის შესახებ, რომლის გამო მთავრობის ერთ ერომა წევრმა თავის მოკვლა განიზრახა (მღელვარება).

თავმჯდომარე. მაგის შესახებ ვერ მოვცემთ სიტყვას, პირად საკითხისათვის ბრძანეთ.

რამიშვილი, გაიხსენოს ბ. ლორთქიფანიძემ ყოველივე ის, რაც მოხდა ჩვენს კაბინეთში და შემდეგ გამოვიდეს აქ და განაცხადოს ყოველივე გულახდილად.

ნ. ხომერიკი. მე ძლიერ გამაკვირვა ლორთქიფანიძის და გობეჩიას გამოსვლამ: ფაქტია ის, რომ ლორთქიფანიძემ განაცხადა პარტიის დავალებით მოვიმოქმედეო. ეს განაცხადა მან გამოძიების დროს და ეს ოქმშიაც არის შეტანილი, ასევე განაცხადა მან მთავრობაში.

სკანდინავია და საქართველო.

სკანდინავიაში მყოფი საქართველოს სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ა. ჭუმბაძე ტუილისში დაბრუნდა. საქ. დეპ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს ჭუმბაძემ სკანდინავიის ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოსთან შემდეგ ნაირად დაახასიათა: ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ ფაქტს, სთქვა ჭუმბაძემ,—რომ ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში საქართველოთი დაინტერესებულია მთელი ქვეყანა, მათ შორის, რასაკვირველია, შვეცია და ნორვეგია. კიდევ მეტი: შვეცია, ნორვეგია და დანია ეკუთვნის იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობა პირველად აღიარეს, კერძოდ, ჩემს მოვალეობას შეადგენდა გამეცნო სკანდინავიის ფართო საზოგადოებისათვის საქართველო. ამ მხრით ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ადგილობრივმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიას და კერძოდ კი საქართველოს: მის ისტორიას, ეტნოგრაფიას, პოლიტიკურ წყობილებას, სიმდიდრეს და სხვ. მაგრამ ამ ინტერეს ჯერ-ჯერობით უფრო პლატონიური ხასიათი აქვს, კერძოთ სავაჭრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. სკანდინავია და კერძოდ შვეცია ძლიერ ფრთხილია და ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიის სავაჭრო წრეები ძლიერ დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ საქართველოსთან უშუამავლოთ სავაჭრო დამოკიდებულება დაიკავონ, ეს წრეები მაინც გაურბიან დღეს-დღეობით პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას ასეთი მდგომარ. გაგრძელდება იმ დრომდე,სანამ ევროპის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგება. ასეთი დამოკიდებულება საკითხისადმი სრულიად ბუნებრივია, თუ მივიღებთ მხედველობაში მისვლა-მოსვლის სიძნელეს. შვეციას, ნორვეგიას და დანიას ცხადია არ შეეძლო აეცილებია თავიდან მსოფლიო ომის გავლენა. მსოფლიო ომმა ამ ქვეყნებშიაც მოახდინა გავლენა მრეწველობაზე. უკანასკნელი ძლიერ შემცირდა. სკანდინავიის ქვეყნებს აღარ ჰქონდათ საკუთარი ნედლი მასალა. ეხლა კი იქ მრეწველობა თანდათან ცოცხლდება. შემდეგ აქაც ეტყობა მუშის შრომის ნაყოფიერების შემცირება. ამასთანავე ცხოვრება გაძვირებულია და საშუალო ხელფასი აღარ კმარა საშუალო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივია ამიტომ, რომ სკანდინავიის სახელმწიფოებს ამ ჟამად არ შეუძლიათ მიაწოდონ საქონელი უცხო ბაზარს, თუმცა მათ ზოგიერთი საქონელი, მაგალითად ასანთი და სამეურნეო იარაღები ბლომათ მოეპოვებათ. ამ საქონლის გამოტანას ჯერ-ჯერობით ხელს უშლის მისვლა-მოსვლის მოუწყობლობა. სხვათა შორის ჭუმბაძე იძლევა ზოგიერთ ცნობებს იმ ქართველ ახალგაზრდების შესახებ, რომელიც სპეციალურ განათლების დასამთავრებლათ საზღვარ გარეთ გაიგზავნა. ეს ახალგაზრდობა ცხოვრობს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში და სხვ. მიუხედავათ იმისა, რომ საშინელი სიძვირეა და ის ფული, რომელსაც იღებენ არ ყოფნით ეს ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებელში მაინც გულდასმით მეცადინეობს.

სომხეთი და რუსეთი

საქართველოში მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბ-ნ ბეკზადიანმა ერევნიდან საგ. საქ. მინისტრ ოკანჯანიანისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: «გუშინ სომხეთის ჯარის ლეფროსმა, რომელსაც უჭირავს შახტახტის რაიონი ნახიჩევანიდან შემდეგი ქაღალდი მიიღო: „1920 წ. ივლ. 28. რ. ს. ფ. რესპუბლიკისა და ჩვენი მოკავშირე ოსმალეთის წითელი ჯარი გაცემული ბრძანების თანახმად შევიდენ მცხოვრებლებთა მიერ სრულიად მიტოვებულ ქალ. ნახიჩევანში და მის რაიონში, ისე რომ სომხეთის წინააღმდეგ არავითარი სამხედრო მოქმედების მიზანი არა ქონიათ. მიღებული ცნობებით თქვენი ჯარი ფიქრობს ნახიჩევანზე შეტევას. ცეცხლით და მახვილით მის განადგურებას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და უმიზნო სისხლის დაქცევის ასაცდენად, გაუწყებთ ჩვენ მიერ ნახიჩევანისა და მისი რაიონის დაჭერის შესახებ. 1920 წ. № 330 № 62 ქ. ნახიჩევანში სარდალი რ. ს. ფ. რ. და წითელი ოსმალეთის გაერთიანებული ჯარის, რომელსაც უჭირავს ნახიჩევანი და მისი მიდამოები—თარხანოვი. ამასთანავე ერევნიდან იუწყებიან აგვისტოს 3 გამოგზავნილი დეპეშის შესახებ: საბჭოთა მე-11 არმიის სარდლისაგან დღეს ადერბეჯანის წინააღმდეგ მებრძოლ სომხეთის ჯარის სარდალმა შემდეგი ულტიმატუმი მიიღო. მიღებულია აგვისტოს 1-ს 22 ს. 30 წ. საბჭოთა სოციალისტურ ადერბეიჯანის წინააღმდეგ მებრძოლ სომხეთის ჯარის სარდლობას. ბაქო. აგვ. 1. 1920 ზანკეზურის და ნახიჩევანის მაზრებში სომხებსა, თათრებსა და თურქებს შორის ხოცვა-ჟლეტაა. ამის შედეგია უბედური და დაუცავი ლატაკი ხალხის ოჯახთა განადგურება.

ნადგურდება მთელი სოფლები და ათასობით უსახლკაროდ რჩება გლეხობა. ამ მაზრებში უთანხმოებათა მოსასპობად და მშვიდობიანობის დასამყარებლად ჩვენ შევიყვანეთ წითელი ჯარები, რომელთაც მიაქვთ მაზრის ყველა მშრომელთათვის დროშა მშვიდობიანობისა. ამავე დროს თქვენ აქტიურად მოქმედებას იწყებთ ჩვენი ჯარების წინააღმდეგ, რითაც იწვევთ მათ საბრძოლველად. ჩვენ ჯარს არ უნდა სამხედრო მოქმედება დაიწყოს სომხეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ თქვენ დაუყონებლივ არ მიიღებთ ზომებს თქვენი ჯარების აქტიურ მოქმედების შესაწყვეტად, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით მივიღოთ თქვენი გამოწვევა, რომელსაც ჩვენ თქვენთვის განმანადგურებელი შემოტევით ვუპასუხებთ. პასუხს ველით აგვ ს ტოს 3. ამ დროისათვის უნდა შესწყდეს აქტიური მოქმედებანი. საბჭოთა მე-11 წითელი ჯარის სარდალი ვასილენკო, სამხ. რევ. საბჭოს წევრი ლუკინი. წითლების წარმომადგენლები პასუხს ელიან ჩვენ საზღვარზე.

სომხეთში

ერევანი. აგვ. 3. სომხური პრესა იუწყება, რომ კულპის რაიონში და მის მოსაზღვრე უაგიზმანის ოლქში თურქებისა და ადერბეიჯანლების აგენტები სომხეთის საწინააღმდეგო მოქმედებას ეწევიანო. რამდენიმე დღის წინათ აქ შეტაკება მოხდა ქურთებს და ზეითუნის პოლკის ნაწილებს შორის. ამგვარივე მტრულ მოქმედებას ეწევიან სომხეთის წინააღმდეგ ყარსის ოლქის ბასის უბანში. აქ დაბანაკებულ სომხურ ჯარებს ებრძანა სომხეთისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებისაგან ტერიტორიის გაწმენდა.

კისკინ-ზადემ საბჭოთა მთავრობისაგან თავისი ბრბოს შესანახათ სამი მილიონი მანეთი მიიღო.

„არაჩი" იუწყება: ევროპიდან მოსული ცნობით საქართველოს დელეგაციას ევროპაში 5 მილიონი გირ. სტერლინგის სესხი აუღია.

სომხეთის პროტესტი.

საქართველოში მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა მისიამ სომხეთის საგ. საქმეთა მინისტრის ოკანჯანიანისაგან მიიღო პირი იმ პროტესტისა, რომელიც მან საბჭოთა ჯარების მოქმედების წინააღმდეგ განაცხადა. პროტესტში ნათქვამია: ამ გვარ მოქმედებას სომხეთის ხალხი უცქერის, როგორც მუსავატისტების ძველი გეგმის რეალიზაციას, რომელთაც სურდათ სომხეთის ცოცხალ სხეულზე გადავლით იმპერიალისტურ ოსმალეთთან შეერთება. დასასრულ ოკანჯანიანი აცხადებს, რომ სომხეთის მთავრობა მხათ არის მიესალმოს ზავის საჩქაროთ შეკვრას, მაგრამ უფლება აქვს მოითხოვოს შეწყვეტილი იქნას სომხეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება, გამოიყვანონ საბჭოთა ჯარები სომხეთის ტერიტორიიდან და მასცენ სომხეთს საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად აუცილებელი გარანტიები.

საქართველოს საგარეო საქმეთა

თანახმად მიღებულ ცნობებისა, უცხოელი ექსპორტიერები ძლიერ დაინტერესებულნი არიან გაეცნონ საქართველოში და კერძოთ ბათომის ნავთსადგურში საქონლის შემოტანის პირობებს. ამიტომ ექსპორტიერებმა ოფიციალურ წრეებს შეკითხვით მიმართეს: როგორი გარანტია არსებობს იმისა, რომ შემოტანილ საქონელს რეკვიზიციას არ უზამენო და გვექნება თუ არა საშუალება რესპუბლიკის საზღვრებში ამ საქონლის თავისუფალი გაყიდვისაო. უცხოელი კომერსანტები კითხულობენ შეზღუდულია თუ არა რესპუბლიკაში ვაჭრობის თავისუფლება, მაგალითად ნიხრის სახით, და თუ არსებობს სახელდობრ რომელ საქონლებზე ვრცელდება იგი. უცხო კომეოსანტებს აინტერესებთ აგრეთვე თუ რა ფორმალური პირობები უნდა შეასრულონ, რომ საქონელი შემოიტანონ ნავთსადგურში და სხვ. ავტორიტეტულ წრეებში იუწყებიან, რომ ამის საპასუხოდ გაკეთებული იქნება განცხადებაო. ეს განცხადება დაადასტურებს ყველა იმ საეალდებულო დადგენილებებს, რომლებიც გამოცემული იყო თავის დროზე ბათომის ოლქის განსაკუთრებულ კომისარის ბ. ჩხიკვიშვილის მიერ.

რუსეთში მუშათა დელეგაციის გაგზავრების შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებმა აბდუშელიშვილმა და ხელაძემ მუშათა დელეგაციის წარმომადგენელ დგებუაძესთან და ამ დელეგაციისვე მდივან რუხაძესთან ერთად ინახულეს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი მუშათა დელეგაციის რუსეთში თავისუფლად შესვლის საკითხის გამოსარკვევად. თავის მხრივ გეგეჭკორი დაჰპირდა მათ დახმარებას და გამოსთქვა აზრი, რომ საბჭოთა მთავრობას არაფერი საწინააღმდეგო ექნება ჩვენ დელეგაციასთან. ამასთანავე 1 აგვისტ. პროფ. კავშირთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა გეგეჭკორს შემდეგი ოფიციალური წერილით: „საქ. პროფ. კავშირთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი გთხოვს თქვენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის წინაშე აღძრათ შუამდგომლობა მუშათა დელეგაციის გაშვების შესახებ. ამ დელეგაციაში შედის 15 დელეგატი და 2 მდივანი. დელეგაციას მიზნად აქვს რუსეთის მუშათა კლასის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის და აგრეთვე მრეწველობის ადგილობრივ შესწავლა. მუშათა დელეგაციას ამასთანავე მიზნათ აქვს რუსეთის მუშებისათვის საქართველოს მუშათა მდგომარეობის გაცნობა.

უცხოეთი

(საინფორ. ბიუროს ცნობები).

საფრანგეთი და ინგლისი.

საფრანგეთის დანგრეულ ოლქების დამხმარე ბრიტანეთის ლიგამ მიმართა ინგლისის ყველა ქალაქსა და სოფლებს მოწოდებით. ამას გამოეხმაურა ინგლისის 30 მუნიციპალიტეტი, მათ რიცხვში მანჩესტერი და სხვა, რომლთაც გადასწყვიტეს დაეხმარონ საფრანგეთს. როგორც ფინანსიურად, ისე ტექნიკურად.

იაპონია და ინგლისი.

რეიტერის საააგენტო იუწყება: ინგლისისა და იაპონიის მთავრობამ ხალხთა ლიგის სეკრეტარიატში შეიტანეს ნოტა ინგლის-იაპონიის კავშირის აღდგენის შესახებ.

ოსმალეთში.

„ბოსფორი" იუწყება: ნაციონალისტები მთელ ტრაპეზუნდის ოლქში ბატონებენ. პოლიტიკური ატმოსფერა ძლიერ მძიმეა. ქრის-

ტიან მცხოვრებლებს განადგურებით ემუქრებიან, სომხებს ქალაქიდან არ უშვებენ. ბერძნებს კონსტანტინოპოლის მიმართულებით წასვლა ეკრძალებათ, მაგრამ სხვა მიმართულებით წასვლა მათთვის ნება დართულია.

წამლის საწყობის აფეთქება.

„ივერგირი" გადმოგვცემს: სევასტოპოლში უეცრად აფეთქდა წამლის საწყობი. ცეცხლი მთელი დღე-ღამე გრძელდებოდა.

ე. ბულის წიგნი.

ლონდონში ე. ბულის შემდეგი წიგნი გამოვიდა: „უკრაინა ევროპის ბეღელია" ავტორი თავის წიგნის წინასიტყვაში აღნიშნავს, რომ უკრაინის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა მთელი ევროპის მეურნეობის და ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებას გამოიწვევსო. ავტორი ამტკიცებს, რომ უკრაინის საკითხი გადაწყდება მხოლოდ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები იცნობენ უკრაინის დამოუკიდებლობას რომელიმე დიდ სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ.

საბჭოთა მთავრობა და ამერიკა.

ჩრდილოეთ რუსეთსა და ბალტიის მხარეში მყოფმა ამერიკის წითელი ჯვრის კომისარმა პოლკ. რაენმა თავის მთავრობას მოხსენება წარუდგინა: რაენის სიტყვით საბჭოთა მთავრობა უახლოეს 6 თვის განმავლობაში დაიღუპება, თუ მან გარედან არ მიიღო დახმარებაო. რაენი თავის მოხსენებაში სწერს: „ან რუსეთმა უნდა მიიღოს დახმარება სურსათით და ტეხნიკურ მასალებით, ან მას (რუსეთს) სრული ქაოსი მოელის.

უკრაინის დელეგაცია.

უკრაინის დელეგაციამ დელაკრუას გადასცა ნოტა, რომელშიაც სთხოვს მოკავშირეთა წარმომადგენლებს წინადადება მისცეს საბჭოთა რუსეთს ზავი ჩამოაგდოს უკრაინასთან.

იაპონიაში.

რომში მყოფი იაპონიის საელჩო ოფიციალურათ აცნობებს სტეფანის სააგენტოსამურზე მდებარე ნიკოლაევსკში ბოლშევიკების მიერ გამოჩენილ ველურობის შესახებ. იაპონია მოკავშირეებთან შეთანხმებით ჩეხოსლოვაკების უკან დახევის დროს დაეხმარა და ცომბირში საექსპედიციო კორპუსები გააგზავნა. ამასთანავე ნიკოლაევსკში იქ მცხოვრებთა იაპონელებისა და საზღვარ გარეთლების დასაცავად გაგზავნეს საზღვაო რაზმი, მაგრამ ავსტრო-გერმანელების ტყვეებთან შეერთების შემდეგ ბოლშევიკებმა უკან დაახევიეს იაპონიის სამხედრო ძალებს. შერიგების ცდამ მიზანს ვერ მიაღწია. იაპონიის ჯარის მთავარ-სარდლის ბრძანებით მფრინავებმა ქალაქში ჩამოყარეს პროკლამაციები, რომლებშიაც აცხადებდენ, რომ იაპონიის სამხედრო ძალების მიზანს შეადგენს იაპონელებისა და მშვიდობიან მცხოვრებთა დაცვაო. ბოლშევიკებმა ნიკოლაევსკში ყველა იაპონელი დახოცეს, დანარჩენი მცხოვრებლები გარეკეს ქალაქიდან. ქალაქი დამწვარია, მსხვერპლი რამდენიმე ათას კაცს უდრის; დახოცილნი არიან არა მარტო იაპონელები არამედ რუსებიც. ივნისში ნიკოლაევსკი ხელახლად დაიკავეს იაპონელებმა. დაბრუნებული მცხოვრებლები დარჩენენ უსახლკაროთ. სურსათი არაა და ხალხი საშინელ სიღატაკეში სცხოვრობს. ამ ველურობის შესახებ ყველა განათლებულმა ქვეყანამ იცის.

ბათუმი

მკვლელობა.

ღამით აგვ. 3, მოკლეს ბათომში მყოფი სომხეთის გენერალურ საელჩოს მოსამსახურე სანი ამიროვი. რამდენიმე დღის წინად ამიროვი ცუდი ყოფაქცევისათვის დაითხოვა საკონსულომ. ამის შემდეგ ამიროვი თვრებოდა და ისროდა ქუჩებში. აგვისტოს 3, მან ესროლა მილიციონერს, საპასუხო სროლით ამიროვი მოკლულ იქნა. მკვლელობის ადგილზე მოვიდა საგანგებო კომისარი, სომხეთის ელჩი და სხვები. საპროკურორო ზედამხედველობამ ადგილობრივ გამოარკვია მკვლელობის მიზეზები.

ბ. ჩხიკვიშვილის ბრძანება.

ოლქის საგანგებო კომისარმა ჩხიკვიშვილმა ბრძანება გასცა ყველა საზოგადო სახლის დახურვის შესახებ. საზოგადო სახლის ყველა შემნახველნი და როსკიპები რესპუბლიკიდან უნდა განიდევნოს. ამათგან ისინი, ვინც საქართველოს ქვეშევრდომია უნდა გაიგზავნოს ეტაფით მუდმივ საცხოვრებელ ადგილას და მათზე უნდა დაწესდეს მილიციის ზედამხედველობა. თუ ერთი კვირის შემდეგ ასეთი პირი ქალაქში აღმოჩნდება, მაშინ ის უნდა გაიყვანონ იძულებით სამუშაოზე აკერონ და არეცხინონ ტომრები, აგვევინონ ქუჩები და სხვა. ამისათვის ისინი ქალაქ გარედ ერთ ყაზარმაში უნდა მოაქცევონ და ფულის მაგივრად მისცენ საზრდო. როდესაც ფარულ საზოგადო სახლის შენახველთ აღმოაჩენენ მათ დააპატიმრებენ მათსავე ხარჯზე ასაზრდოებენ. მილიციის წევრებმა უნდა აწარმოონ აღნიშნულ პირთა რეგისტრაცია. სასტუმროების და სახლის პატრონებს იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძანება არ შესრულეს, გადაახდევინებენ 25,000 მან. ჯარიმას, სახლს რეკვიზიციით წაართმევენ და დააპატიმრებენ. ბრძანება სისრულეში მოყავთ კომისრებს. იმ შემთხვევაში, თუ რაიონში ასეთი პირები იქნებიან აღმოჩენილნი, კომისრებს სამსახურიდან დაითხოვენ და დააპატიმრებენ.

ახალი ამბები

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების განცხადება. გაზეთ „პრავდა"-ში 15 ივლისის ნომერში მოთავსებულია შემდეგი სათაურით: „რაზე ეჩურჩულებიან ჩვენს მტრებს". „პრავდა" ეყრდნობა რა გაზეთ „ახალი რუსული ცხოვრებას", იტყობინება, რომ თითქოს საქართველოს კონსულმა ბარამიძემ ინახულა გენერალი ვრანგელი და მესალმა მას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ამით აცხადებს, რომ ბარამიძე საქართველოს კონსულად არც ყოფილა და არც ამ ჟამად არის, და საქართველოს მთავრობას ის კონსულის თანამდებობაზე არასოდეს არ დაუნიშნავს. ცხადია, საქართველოს მთავრობის სახელით ის ვერ წარუდგებოდა ვერც გენერალ ვრანგელს და ვერც სხვა ვინმეს.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში. ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტმა ბათომის მრეწველობისაგან შემოწირულება მიიღო, სხვათა შორის შემოწირულია სხვა და სხვა მედიკამენტი.

დახმარება დასახიჩრებულ ჯარისკაცებს. ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტმა დაადგინა დასახიჩრებულ ჯარისკაცების საჭიროებისათვის შეიძინოს ავტომობილი.

დახმარება სახალხო გვარდიელების ოჯახებს. ქალაქთა კავშირმა სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის იმ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ, რომლებიც აზერბეიჯანის ფრონტზე დაიღუპნენ 10000 მ. გადასდო.

ვალიუტის გადაცემა. „ჩემო" იუწყება, რომ მან ერთი კვირის განმავლობაში ივლისის 24-30-მდე მთავრობას უცხო ვალიუტით გადასცა: 42.000 გირ. სტერ., ე. ი. 84 მილ. მანეთი და აგრეთვე 240.000 ფრანკი.

ავიაციის დღესასწაული. აგვისტოს 2, ავიაციის როტის ოფიცრებმა ჰაეროდრომში ავიაციის დღესასწაული მოაწყვეს. დღესასწაულს დაესწრენ: მთავრობის მოადგილე ე. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, დამფ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ა. ლომთათიძე, თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი, დამფ. კრების ფრაქციების წარმომადგენლები, გენ. შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე, გენ. ანდრონიკაშვილი, ვალ. ჯულელი, გენ. ქუთათელაძე და სხვა. საავიაციო ვარჯიშობაში მონაწილეობა მიიღეს იმ მფრინავებმა, რომლებმაც საავიაციო შკოლა ამ მოკლე ხანში დასრულეს. ფრენა 1 აპარატზე სწარმოებდა ფრენა დილის 5 საათიდან დაიწყო. შემდეგ შეასრულეს საჭერო ფრენის რთული ფიგურები, ფრენის დასასრულს ე. გეგეჭკორმა და გრ. ლორთქიფანიძემ საავიაციო როტის კომანდირის მოვალეობის აღმასრულებელს მაყაშვილს მიულოცენ. საღამოს გაიმართა ვახშამი, სადაც მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს და რესპუბლიკის ჯარს და ხელმძღვანელებს კეთილდღეობა და გამარჯვება უსურვეს. სხვათა შორის სახალხო გვარდიის შტაბის უფროსმა ვ. ჯულელმა სთქვა: საქართველოს ჯარი და გვარდია არავის არ ესხმის თავს, მაგრამ არც არავის ნებდება. ჯარის დევიზია: გამარჯვება ან სიკვდილი. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ზაქარიაძემ და სხვებმა.

თავდაცვის საბჭოს დადგენილება. თავდაცვის საბჭომ მოხალისეთა ოჯახებისადმი დახმარების აღმოჩენის საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინა: მოხალისეთა ოჯახებს აღმოეჩინოთ დახმარება იმავე წესით, როგორითაც მობილიზაციის წესით გაწეულ ოჯახებს აძლევენ დახმარებას.

სტატისტიკურ კომიტეტში. მიწათ-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ კომიტეტის გამგის მოვალეობის აღმასრულებლად დროებით მანდელშტამის მაგივრად, რომელიც სხვაგან გაემგზავრა, დ. ივანოვი დანიშნა.

ქალაქთა კავშირი. ბათომის თვითმართველობამ ქალაქთა კავშირს მიმართა შუამდგომლობით დაუთმოს მას საავადმყოფოების, შკოლების და ქალაქის სხვა დაწესებულებების საჭიროებისათვის საჭირო შენა. ქალაქთა კავშირმა დაადგინა ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილოს.

შეშის დამზადება. ქალაქთა კავშირი შეშის დამზადებას შეუდგა. დამზადება სწარმოებს სამ რაიონში: მაწათ-მოქმედების კუთვნილ ტყის ნაწილებში, ყარაიაზში შიხლინის ავარაკში. სექტემბრიდან განზრახულია ყოველ თვეში 3 0 კუბ. საჟენი მიიღონ. ამასთანავე შეშის დამზადება სწარმოებს დასავლეთ საქართველოში და შორაპნის მაზრაში.

სკოლების შეკეთება. აგვისტოს 3 სხდომაზე ტფილისის თვითმმართველობამ დაადგინა: სკოლების შესაკეთებლათ გადასდოს 1,145,742 მან. კომისარიატების და სამკურნალოების შენობის შესაკეთებლად 1,773,606 მან.

ბავშვის აღზრდა. ქალაქის თვითმართველობაში იუწყებიან, რომ ამ მოკლე ხანში იტალიიდან ბავშვის აღზრდის საკითხის მცოდნე ქალი ჩამოვაო. ამასთანავე ტფილისში შესაფერ ლიტერატურას ჩამოიტანებენ. განზრახულია ტფილისში საბავშკო ბაღების მასწავლებელთა მოსამზადებლად, კურსების მოწყობა. ეს კურსები ქალაქის თვითმართველობის მიერ ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში იქნება მოწყობილი. ამ კურსებზე მიიღებენ იმ მოწაფეებს, რომლებსაც განსაზღვრული სასკოლო სტაჟი აქვთ. სულ კურსებზე 40 მსმენელი იქნება.

ახალციხის მაზრაში. შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ახალციხეს მაზრაში სცხოვრობს გუმბრიდან გამოქცეული 40 მუსლიმანის ოჯახი. ადგილობრივმა სომხებმა ახალციხის ქალაქის თავის საშუალებით აღძრეს შუამდგომლობა ამ მუსლიმანების მაზრიდან გადასახლების შესახებ, ამასთანავე მუსლიმანებმაც მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით დართონ მათ უფლება მომავალშიაც ახალციხის მაზრაში დარჩენისა, მით უმეტეს, რომ ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებს არაფრით არ აწუხებენ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრძანება გასცა გაეცნონ საერთოდ მუსლიმანების მდგომარეობას და კერძოდ აღძრულ საკითხს. საქმის გაცნობის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალციხის მაზრაში მუსლიმან ლტოლვილების დარჩენის შესახებ თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს.

ერობა

თემის ადმინისტრატიულად მოწყობა

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა მეშვიდე ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს ტფილისის მაზრის თემთა ადმინისტრატიულად დაყოფის საკითხი, დადგენილია: თემი საგარეჯო ეხლანდელ საზღვრებში დარჩეს ამასთან მიიღეს წინადადება, თუ მაზრის გაყოფის შემდეგ, რომელიც ეხლა პროექტშია, ჩაილურ-სიღნაღის მაზრა შეუერთდება ტფილისის მაზრას, იმ შემთხვევაში დაისვას საკითხი საგარეჯოს თემის ორათ გაყოფის შესახებ, სართიჭალა უნდა გაიყოს სართიჭალის და მათხაზოვსკი, ხაშმის პატარძეულისა და გომბორის თემებათ. მარტყოფი უნდა გაიყოს მარტყოფისა და ნორიოს თემებათ გარეთ-უბანი შეადგენს 4 თემს ავჭალას, დილომს, წავკისს და თელავს. სხვა თემები დარჩება უცვლელათ ბოლოს ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: თუ ტფილისის მაზრის, რომელიმე თემი მოითხოვს გამოყოფას, მაშინ მართველობამ დასაკმაყოფილებლათ უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

სამაზრო ერობის მეშვიდე სესია

სამაზრო ერობის წევრების სხდომაზე 31 ივლ. განიხილეს შემდეგი მოხსენებები. სტატისტიკურ და სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა მოქმედების შესახებ ორივე მოხსენება მიიღეს. უკანასკნელ მოხსენების შესახებ დაადგინეს: მიეცეს დახმარება სამხედრო პირების ოჯახებს ფულით და სურსათით, აეხსნას მცხოვრებლებს მობილიზაციის მნიშვნელობა. შემდეგ განიხილეს მოხსენება ვეტერინალურ-სასანიტარო განყოფილებისა. დაადგინეს: ყარაიაზში გაიხსნას ვეტერინალური პუნქტი, ყურადღება მიაქციონ საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას, ებრძოლონ ცხვრების ავადმყოფობას. მისცენ საჭირო ფული ცხენების მეპატრონეთ თუ მათი ცხენები დახოცილი არის ექიმების ბრძანებით. აგრეთვე განიხილეს ტეხნიკურ განყოფილების მოხსენება. ამ მოხსენებიდგან სჩანს, რომ ერობის მიერ ასურეთ-აღპულაღის გზაზე შეკეთებულია 11 ხიდი, პროექტი შედგენილია მარტყოფ—ნორიოს, სართიჭალა—პატარძეულ კაკაბეთის, წყნეთის და ტაბახმელა—ბორჩალო—კოდის გზების შესახებ. შემუშავებულია პროექტი მდ. იორზე საურმე ხიდის გაკეთების შესახებ, დამუშავებულია აგრეთვე პროექტი მაზრის ადგილებში სხვა და სხვა წყალსადენების გაყვანისა. დამუშავებულია პროექტი მარტყოფში დასალევ მოსარწყავ წყლის გაყვანისა მდინარე ქოტორიდან. გადაკეთებულია 5 სასწავლებლის შენობა, 11 სოფელი შეერთებულია ტფილისთან ტელეფონით, ყარაიაზში დაიწყო წისქვილის შენება. აქ მოწყობილი იქნება დინამო-მანქანა და სხვა. ტეხნიკურ განყოფილების მოხსენება მიიღეს და შემდეგ დაადგინეს, რომ ტეხნიკურ მუშაობაში, და გზის გაყვანაში სოფლებმაც მიიღოს მონაწილეობა. თუ გლეხი პირადათ ვერ შესძლებს მონაწილეობის მიღებას მუშაობაში, ამ შემთხვევაში იგი უნდა დაიბეგროს ფულით. ამას გარდა დადგენილია ყარაიაზში გაგრძელდეს ტყის ეკსპლოატაცია. მიღებულ იქნას ზოგები სარწყავ არხის გაუმჯობესებისათვის ბანაკში, წყალსადენისა საგარეჯოში, და აგრეთვე წისქვილის მოწყობისათვისაც. დღმის მოსარწყავ არხის გაყვანისათვის თითეულ დესიატინის მეპატრონე დაიბეგროს 10.000 მან. ეთხოვოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასცეს ერობას საფონდო მიწები, რომელიც იმყოფება ამ რაიონებში, აღძრან მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მისცეს ერობას სესხათ 20 მილ. მან. თავის მხრივ ერობამ გადასდო 100.000 მან. ამ მიზნისათვის.

1 აგვისტ. ტფილისის სამაზრო ერობის მეშვიდე სესია დასრულდა. უკანასკნელ სხდომის ანგარიში შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული.

რკინის გზაზე

განკარგულება რკინის გზებზე.

რკინის გზების უფროსმა ყველა რკინის გზის მოსამსახურეს წინადადება მისცა მიიღონ ზომები რკინის გზებზე ყალბი ბილეთებით მგზავრობის წინააღმდეგ. ამასთანავე გაიცა განკარგულება გამოაკრან რკინის გზებზე შემდეგი განცხადება: „შენიშნულია, რომ ვიღაც პირები მგზავრებზე რკინის გზის ყალბ ბილეთებს ჰყიდიან. ყველას, ვისაც კონტროლის უფლება აქვს, წინადადება ეძლევა გულდასმით გასინჯოს ბილეთები და ყალბი ბილეთის მქონე პირი მილიციას გადასცეს. რაიონის უფროსებს ევალებათ ბილეთების კასებთან თვალყურის დევნება. თუ ვინმე კასის გარეშე ბილეთს ყიდის უნდა დააპატიმრონ, როგორც გამყიდველი, ისე ბილეთის მყიდველი. აგრეთვე უნდა დაპატიმრონ ის მგზავრებიც, რომლებსაც მატარებელში ყალბი ბილეთი აღმოაჩნდებათ.

ს ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 336 მილიციონერი სიმონ ანდრიას ძე მაღლაკელიძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2072 3—3

დაიკარგა პასპორტი კურდატ ალი ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2083 3—2

„ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო საბჭოში პელაგია ხრიგორ სკლიაროვის ასულმა პეხოტისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი იაკობ ტიმოთეს ძე პეხოტა, რომელთანაც ჯვრი დაიწერა 14 იანვარს 1891 წელსა, უკვალოდ დაიკარგა ათი წლის წინად, რის გამო აღნიშნული პელაგი პეხოტისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგული იაკობ პეხოტას მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით განუცხადოს საეპარქიო სასამართლოს ზემოხსენებული პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა 2 თვის განმავლობაში. 588 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი პავლე სერგოს ძე პირუმოვის სახელზე, მიღებული საფრანგეთის კონსულისაგან ქ. ფეოდოსიაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2067 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1730/21629 ალექსანდრე გასპარას ძე მაგდისოვის სახელზე, მიღებული ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოდან 1907 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2057 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, ხელშეკრულება დუქნის შესახებ, სახელმწიფო მამულების სამმართველოდან მიღებული და ოცი ათასი მან. ხელწერილი, მოცემული მასიკო ჭელიძისაგან დავით ივანეს ძე დალაქიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2064 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მაკრინე გიორგის ასული გომელაურის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2088 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 235 ქარაპეტ გეურქის ძე კაბაჯიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2074 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 154 სისაკ არაქელიანცის სახელზე, მიღებული საქართველოს სახ. რკ. გზის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2077 3—2

დაიკარგა პასპორტი სიმონ გორელიშვილის სახელზე, მიღებული ახალციხის ქალ. თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2089 3—2

ქ. ტფილისის მე-6 უბნის სასამართლოს გამომძიებელი იბარებს ანა ალექსის ასულ ჭიჭინაძისა, და ალექსანდრა სარკისოვის ასულს დიაანოვისას იმათ გაც რცვის საქმის გამო, რომელიც მოხდა 5 ენკენისთვეს 1919 წელს, ოქმის შემყენებელს კონსტანტინე იასეს ძე ელენტს, და იმ პირებს ვინც იცან ამ საქმის გარემოებანი. ყველა ისინი ვინც იციან ზემოაღნიშნულ პირების მისამართი ვალდებულნი არიან აჩვენონ ქ. თბილისის მე 6 უბნის გამომძიებელს. 0265 1—1

ვანძის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდ. სიმონ ექვთიმეს ძე ბურკაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბურკაძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნაწ. 10 ტ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0238 1—1

ქუთაისის სამაზრო უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად მისი დადგენილებისა 14 მაისიდგან 1920 წ., და სისხლის სამართლის წარმოების წესდ. მე 946 მუხ. ძალით ეძებს მცხოვრებს სოფელ სვირში, ქუთაისის მაზრისა, კალისტრატე კონსტანტინე ძე ბოჭორიშვილს, ბრალდებულის 169 მუხ. სასჯ. წესდ., ვინც კი იცის ზემოხსენებული ბოჭორიშვილის მისამართი ვალდებულნი უჩვენოს მოსამართლეს, და თუ აქვს მამული დაინიშნოს ზედ მეურვეობა. 0469 1—1

ქ. ტფილისის მე 13 უბნის მომრიგებელი მოსამართლე თავის 1920 წლ. 25 მაისის დადგენილებით, იწვევს სასამართლოში სირანუშ ბაგრატის ასულს მარტიროსოვს, რომელსაც ალექსანდრე მარტიროსოვი უჩივის 1000 მ. თამასუქით. 1264 1—1

ქუთაისის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 23 იანვარს შემოიტანა თხოვნა მცხოვრებმა ქ. ქუთაისში მარია (იგივე ანნა) ლავრენტის ასულმა ჭეიშვილმა ალექსანდრე ივანეს ძე ჭეიშვილთან განქორწინების შესახებ ისინი ჯვარ დაწერილნი არიან ვავის უბნის წისგის ეკლესიაში 1907 წლის. თებერვლის 23. რამოდენიმე თვის შემდეგ ანნა ჭეიშვილის განცხადებით, მისი ქმარი ალექსანდრე ივანეს ძე ჭეიშვილი უგზო უკვლოთ დაიკარგა. ამ განკარგულების ძალით, ყველა ვინც იცის სად სცხოვრობს ალექსანდრე ჭეიშვილი ვალდესულია განუცხადოს ქუთაისის საეპარქიო სასამართლოს სამი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა. 563 1—1

ქალაქ ქუთაისის მე IV უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულთა სოფრომ გრიგოლის ძე და ივანე ლექვინაძეების მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სოფრომ და ივანე ლექვინაძეების ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მ. აღნიშნულ ვადაში. 0521 1—1

ბაღდათის უბნის მომრიგებელი მოსამართლე (ქუთაისის მაზრა) თანახმად 1401 მ. ძალისა სამოქალაქო სამსჯავრო წესდებისა, იწვევს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში უკვე გარდაცვალებული ფერსათში მცხოვრების კონსტანტინე ივანეს ძის აბულაძის მემკიდრეებს, რათა განუცხადონ თავისი უფლებანი ხსენებულ აბულაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ მამულზე და ქონებაზე. 082 1—1

ქ. თბილისის მე-II-რე განს. უბნის სასამართლოს გამომძიებელი, თანახმად ს. ს. წ. 548 მ. ამით აცხადებს, რომ ა. წ. 23 აპრილს ღამის 2 ს ორბელიანის ქ. მე 7-ე №-რ სახლის პირდაპირ, აღმოჩენილ იქმნა უცნობ ქალის ცხედარი, შეხედულობით 30-35 წლისა. მისი ნიშნები: შუატანის, მაგარი აგებულობის, თმა შავი ფერისა, მრგვალი სახის, ცხვირი მოგრძო, ბოლო აწეული. ეროვნებით რუსი უნდა იყოს. ტანზე ეცვა თეთრი პერანგი და მისი ამხანაგი, ლიფი, კოფთა, ორი იუბკა, ზევითა მუქი ნაცრის ფერის ფეხებზე ეცვა მხოლოდ წინდები შავი ფერისა, ცხედარი გახვეული იყო ყავის ფერ პალტოში, წითელი ზოლი, რომელიც ქონდა მას კისერზე მოწმობს რომ ის დახრჩობილია. გარდა ამისა მარჯვენა ყურის თითქმის ნახევარი ნაწილი ჩამოჭრილია. ვინც რაიმე იცის მოკლულის პირადობის შესახებ, ვალდებულია აცნობოს სასამართლოს გამომძიებელს. 0374 1—1

ქალ. ტფილისის მე 19 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ჯულუხიძე ართემის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ჯულუხიძის ქონებაზე სამ. კან. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 265 1—1

სამეგრელოს სომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 12 იანვარს 1920 წლის გადაცვალებულის მცხოვრების სოფ. გეზათის, სენაკის მაზრის, ბაგრატ სოფრომის ძე ხახანაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ხ ხაშვილის ქონებაზე მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 338 1—1

დაიკარგა პასპორტი ისაკ კონსტანტინეს ძე პოლოსოვის სახელზე მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2109 3—1

დაიკარგა მასწავლებელთა კურსებზე დასწრების მანდატი № 396, მიღებული გალის სამაზრო ერობიდან, გალის ორკლასიანი სამასწავლებლო სკოლის დამთავრების ატესტატი და ნამახურობის ნუსხა ნიკანდარი მელიტონის ძე ანჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2093 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული 77 სათადარიგო პოლკიდან 1917 წ., ჭიათურის კოოპერატივის კვიტანცია, მიღებული ქავკავის პრაპორშჩიკების სკოლიდან და კვიტანცია მიღებული 1917 წ. ჩერნოპიატოვის მოურავისაგან — პრაპორშჩიკ კონსტანტინე ლაბაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2094 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ბათუმის შესახვევში № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის „აღმოსავლეთ-კავკასიის ნავთის მრეწველთა ამხანაგობას". გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2101 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 332 ვასილი ერმილეს ძე მარჯანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან 1920 წელ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2103 3—1

ქუთაისის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 5 მაისს ამა 1920 წ. აქ შემოიტანა თხოვნა მცხოვრებმა ქ. ქუთაისში ბესარიონ დავითის ძე საყვარელიძემ ცოლთან ნინო სიმონ ჩარკვიანის ასულთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან ზედა ქვიტარის მთავარანგელოზის ეკლესიაში 26 იანვარს 1897 წელში, ხოლო ათი წლის წინეთ ბესარიონ საყვარელიძის განცხადებით მისი ცოლი ნინო ჩარკვიანის ასულ უგზო-უკვალოდ დაიკარგა. ამ განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სად ცხოვრობს ანნა ჩარკვიანის ასული ვალდებულია განუცხადოს ქუთაისის საეპარქიო სასამართლოს სამი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა. 587 1—1

დაიკარგა მოწმობა სომხეთის ქვეშევრდომობის, ტფ. უმაღლეს საინჟინერო სასწავლებლის სტუდენტობის მოწმობა და მოწმობა, მიღებული საქ. რკინის გზის 1 უბნის უფროსისაგან—აკოფ მიხეილის ძე კულიჯანოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2104 3—1

დაიკარგა პასპორტი № 4089 ნაზარ არიუთინის ძე ენფიანჯიანცის სახელზე, მიღებული ესპანელების საკონსულოდან. ქ. ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2107 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 25 ალექსანდრე ისაიას ძე აიზენბერგის სახელზე, მიღებული ტფ. სამაზრო პოლიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2112 3—1

ტფილისის მაზრის 3-ე უბნის სასამართლოს გამომძიებელი—თანახმად ს. ს. წ. წ. 348 მუხლისა აცხადებს, რომ 28 მარტს ამა წლისა, თევზის ჭერის დროს—სოფელ კოსოლარის წინწყაროს საზოგ. ტფილ. მაზრ. მცხოვრებთა რამაზან ფერზად-ოღლის და გუსეინ ასლან ოღლის მიერ მდინარე ხრამში სახელმობრ „ქვემო ბოინში", სოფლის ორი ვერსის ქვემოთ—ნახულია მიცვალებული დედობრივი სქესისა, უტანისამოსოდ და უთმოთ, მიცვალებულზე დარჩენილია მხოლოდ საყელო პერანგისა, ტანის ნაწილები—გალახული და გაკაწრულია. შეხედულება ახალგაზრდული არ აქვს. მიცვალებული მიბარებული არის მიწას იქვე მდ. ხრამის ხევში. ყველამ ვინც იცის წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მოკლულისა, ვალდებულია შეატყობინოს ტფილისის მაზრის მე.3-ე უბნის სასამართლოს გამომძიებელს. 0512 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა, თანახმათ თავის დადგენილებისა, 26 ნოემბრის 1919 წ. № 522, აცხადებს, რომ ანნა ვლადიმერის ასული სირენკო უნდა გამოცხადდეს კანტორაში. ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადებისა დაბეჭდისა მისთვის წარსადგენათ და ხელის მოსაწერათ კანტორის დადგენილებისა ქართველ ტიმოთეს ძე სირენკოსთან გაყრის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში დანიშნულ დროზე № 522 დადგენილება სისრულეში იქნება მოყვანილი. 681 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1920 წ. 22 აპრილის დადგენილების თანახაად 951 მუხ. სისხლის სამ. წესდებისა, ეძებს ბრალდებული იოსებ დავითის ძე თარხნიშვილს (რკინის გზის სადარაჯო ბატალიონის) პირველი გუნდის ჯ.-კაცს, რომელსაც ბრალი ედება მე 231 მუხ. 22 წ. ს. დ. კ. 1869 წ. გამ. 4 ყველა ვინც იცის სად იმყოფება თარხნიშვილი ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში (ოლოა ქუჩა № 48). 839 3—1

ქ. ტფილისის მეოთხე უბნის სასამართლოს ბოქაულა ვ. კ. აბაშიძე ამით აცხადებს, რომ 12 აგვისტოს 1920 წ., დილის 10 საათზე მის მიერ მოხდება საჯარო ვიჭრობა ილია დიმიტრის ძე მარულიას მოძაავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს ავეჯეულებას, მაგიდას, განჯინას და სხ. რუსუდან მარულიას ვალის დასაკმაყოფილებლად, ქონება დაფასებულია 7000 მანეთად. ვაჭრობა მოხდება ოლოას ქ. სახლი № 3. 2105 1—1

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ,

რომლების მიერ გამოგზავნილი იყო სათბობი მასალები ვაგონებ-ცისტერნებით და ნავთსაქაჩავ მილებით და დაკავებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აზერბეიჯანთან ომის დროს, რომ შემოიტანონ გასცხადება სამასალო განყოფილებაში 15 აგვისტომდე ამა 1920 წლის. მათ დასაკმაყოფილებლათ; განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები სახელი სათბობ მასალისა და რაოდენობა, ნომერი ნაკლადნოისა, სადგური, რომელმაც გამოაგზავნა და რომელ სადგურზეა გაგზავნილი, გვარი და მისამართი მიმღებისა.

განცხადებანი იმ პირთა, რომელნიც შემოტანილი იქნება უგვიანეს 15 აგვისტოსი არ იქნება დაკმაყოფილებული. 806 3—1

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს,

რომ რკინის გზის სადგურზე ტფილისში და ქსანში ამ ჟამად არის შეგროვილი 4000 ფუთი წვრილი ქვა-ნახშირი, ვისაც სურს შეიძინოს აღნიშნული ქვა-ნახშირი შეუძლიათ მიმართონ შემდეგ მისამართით: ტფილისი, საქართველოს რკინის გზის სამმართველო სამასალო ნაწილის უფროსს. 807 1—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ამა წლის 16 აგვისტოს დილის ათ საათიდან ცენტრალ საწყობში გაიყიდება გაუტანელი საქონელი

ბაგაჟი: ბაქო—სანაინი № 27595 რიგ. № 140, 6 ფ., სამტრედია—ტყვიბული № 1231210 რიგ. № 145, 1 ფ. 20 გ., მოლითი—გორი № 6320 რიგ. № 169, 1 ფ. 28 გირ., ყარსი—სანაინი № 3029 რიგ. № 141, 4 ფ. 13 გ., ყსანკა—ბათუმი № 157788 რიგ. № 163, 35 გირ., ფოთი—ბათუმი № 84403 რიგ. № 159, 2 ფ. 15 გ., ჭიათურა—ბათუმი № 24217 რიგ. № 160, 1 ფ. 5 გ., ტფილისი—ბათუმი № 90873 რიგ. № 161, 30 გ., ჭიათურა—ბათომი № 23480 რიგ. № 162, 2 ფ. 5 გ., ფოთი—ბათომი № 85485 რიგ. № 178, 12 ფ., ტფილისი—ახალ სენაკი № 106419 რიგ. № 178, 1 ფ., ტფილისი—ახალ-სენაკი № 109971 რიგ. № 178, 2 ფ., ფოთი—ახალსენაკი № 87889 რიგ. № 178, 10 გ., ფოთი—ახალსენაკი № 86089 რიგ. № 178, 1 ფ. 15 გ., აბაშა—ტფილისი № 46705 რიგ. № 152, 3 ფ. 10 გ., სანაინი—ტფილისი № 69634 რიგ. № 147, 2 ფ., ბორჯომი—ტფილისი № 59329 რიგ. № 149, 2 ფ. 15 გ., ქუთაისი—ტფილისი № 45013 რიგ. № 154, 1 ფ., განჯა—ტფილისი № 1659 რიგ. № 121, 10 ფ. 10 გ., ბორჯომი—ტფილისი № 58956 რიგ. 151, 1 გ.

უსაბუთოები:

აქტი სად. ტფილისის № 1507 რიგ. № 158, ლობიო 4 ფ. 12 გ., აქტი ნოტანების № 87 რიგ. № 183, სიმინდი 13 ფ. 30 გ., აქტი ბათუმის № 45 რიგ. № 157, შაბი 30 ფ. 8 3 3—2

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ამა წლის 12 აგვისტოს დილის ოთხ საათიდან ცენტრალ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი:

ტვირთი: მოლითი—გომი № 127387 რიგ. № 164 გამგზავნი გ. პივლიშვილი, მიმღები იგივე წისქვილის ქვა 65 ფ., თელავი—ტფილისი № 734 რიგ. № 174, გამგზავნი კანტორა „შრომა" მიმღები მუსიკალური საზოგადოება ცარიელი ყუთი 7 ფ., აბაშა—ტფილისი № 22232 რიგ. № 173, გამგზავნი ცხადაია—იგივე სიმინდი 5 ფ., თელავი—ტფილისი № 809, რიგ. № 172 ლეჟავა—იგივე სიმინდი 16 ფ. 20 გ. 804 3—2

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.